

ლევან იზორია

მცირე რამ „ვეფხისტყაოსნისა“ და შოთა რუსთველის შესახებ

თბილისი 2009

*ავტორი ნაშრომს უძღვნის ნათესავის დავით
მოსულიშვილის ნათელ ხსოვნას.*

ნაშრომში „მცირე რამ „ვეფხისტყაოსნისა“ და შოთა რუსთველის შესახებ.“ განხილულია „ვეფხისტყაოსანი“ და მასში შემავალი არაერთი საინტერესო საკითხი. ახსნილია „ვეფხისტყაოსნის“ ფართო დანიშნულება და მისი როლი მსოფლიო ლიტერატურის განვითარებაში. ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხთა გამო ავტორი იმედოვნებს, რომ წინამდებარე ნაშრომი საინტერესო იქნება მკითხველთა ფართო წრეებისათვის.

კორექტორი: **ლელა კვიციანი**, ფილოლოგი, ჰუმანიტარულ
მეცნიერებათა დოქტორი

ISBN 978-9941-0-1269-3

I თავი

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგისა და ეპილოგის განხილვა

„ვეფხისტყაოსანი“ შესდგება სამი ნაწილისაგან: პროლოგი (შესავალი-წინასიტყვა)-საკუთრივ პოემა (თხრობა, ამბავი) და ეპილოგი (დასასრული-ბოლოსიტყვა). პროლოგს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება „ვეფხისტყაოსნის“ მრავალი საჭირობოროტო საკითხის გასარკვევად. „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი მიჩნეულია ნაწარმოების საუკეთესო ნაწილად. პოემის პროლოგის შესახებ ბრწყინვალე მეცნიერი ნიკო მარი წერდა: **„მუსიკალობის, სტილის სიმკვრივის, თუ აზრის გამომსახველობის მხრივ პროლოგი შოთას კალმის საუკეთესო ქმნილებაა.“**

პროლოგი აგებული არის გარკვეული სტრუქტურული პრინციპის მიხედვით. პოეტი თავდაპირველად ქებით მიმართავს ზეციურ, ღვთაებრივ ძალას („რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა“) და შემწეობას სთხოვს მას („ჰე, ღმერთო ერთო...“) შემდეგ კი მოკრძალებით იხსენიებს „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ მეფე პატრონებს და საუბარს აგრძელებს თავის თავსა და შემოქმედებით გულისთქმაზე; გვაცნობს თავის შეხედულებებს პოეზიასა (შაირობა) და სიყვარულზე (მიჯნურობა). პროლოგი ორგანულად უკავშირდება პოემის თხრობით ნაწილს. „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის სიდიადე განსაზღვრა იმან, რომ პროლოგი ნათლად გამოხატავს „ვეფხისტყაოსნის“ სულს, მის იდეურ-მხატვრულ სიდიადეს. პროლოგი „ვეფხისტყაოსნის“ იდეათა სამყაროს შესავალია. „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი, არა მარტო ამ ნაწარმოების მშვენიერებაა, არამედ იგი ქართული პოეზიის სწორუპოვარი შედეგური გახლავთ.

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის მეშვიდე და მერვე სტროფებით ავტორი გვაცნობს თავის ვინაობას:

„მე რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი...

დავჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულ-ლახვარ სობილი.“

ამგვარად, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორია რუსთველი. ან უფრო გავრცელებული ფორმით, რომ „ვთქვათ“ რუსთაველი. რა თქმა უნდა, უფრო, სწორი ფორმაა რუსთველი-ასე უწოდებს თავის თავს ავტორი (ფორმა რუსთაველი პირველად შემოიღო ანტონ კათალიკოსმა, XVIII საუკუნეში). რუსთველი არც სახელია პოეტისა, არც გვარი, არც ფსევდონიმი. რუსთველი

ეწოდება რუსთავის ციხე-ქალაქის ან რუსთავის მამულის მფლობელს, მეპატრონეს.

საქართველოში რამდენიმე რუსთავია ცნობილი. ამ შემთხვევაში ჩვენი პოეტის სახელს უკავშირდება ორი: რუსთავი მესხეთისა. და თბილისთან ახლოს მდებარე რუსთავი.

ზოგი ლიტერატურული წყარო, განსაკუთრებით კი ხალხური გადმოცემები, რუსთავს მესხად ან ჯავახად მიიჩნევს. „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგში ვკითხულობთ:

**„გასრულდა მათი ამბავი ვითა სიზმარი ღამისა.
გარდახდეს, გავლეს სოფელი, ნახეთ სიმუხთლე ჟამისა!
ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა.
ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა.“**

[1665]

ამის მიხედვით ბევრი ფიქრობს, რომ რუსთველი იყო მესხი მაგრამ ზემომოყვანილი ტექსტის ავტორი ამბობს, რომ იგი წერს „რუსთველისად ამისა,” ე. ი. რუსთველის მიხედვით, მის მსგავსად (ანუ რუსთველის წაბადებით). მაშასადამე, მესხი მელექსე რუსთველი კი არ გახლავთ, არამედ მისი მიმბაძველი ამას ისიც მოწმობს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ალოგიკურად სრულდება. რუსთველის მიმბაძველი პოემის გმირების შესახებ ამბობს, რომ მათ დაასრულეს ამქვეყნიური ცხოვრება. არადა როგორც ვიცით, „ვეფხისტყაოსნის“ ამბავი საზეიმო აპოთეოზით სრულდება. გამარჯვებული ჭაბუკები ნამდვილ სოციალურ სამართლიანობასა ბედნიერ ცხოვრებას ამყარებენ თავიანთ სამეფოებში:

**„ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს;
ავის მქმნელნი დააშინეს, კრავნი ცხვართა ვერ უწოვდეს;
შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს.“**

მესხი მელექსე კი პოემის გმირებს გარდაცვლილებად წარმოგვიდგენს, რა თქმა უნდა, რომ ისეთი დიდი პოეტი, როგორც რუსთველი იყო, ნაწარმოებს ასე ალოგიკურად არ დაასრულებდა.

მესხი მელექსე რუსთველის-სკოლის პოეტია, მაგრამ იგი არ გახლავთ რუსთველი; რა თქმა უნდა, თეორიულად სავსებით შესაძლებელია რუსთველი მესხი ყოფილიყო, მით უფრო, რომ „ვეფხისტყაოსანი“ მესხეთში

ძალზე პოპულარული ყოფილა და იქ ამ პოემის წამბადველი და გამგრძელებელიც გამოჩენილა.

როდის და რომელ წლებს შორის არის დაწერილი „ვეფხისტყაოსანი?“ ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად პოემის მესამე სტროფი. უნდა განვიხილოთ:

**„ვის ჰშვენის, ლომსა, ხმარება, შუბისა, ფარ-შიშურის,
მეფისა მზისა თამარისა, ღაწვ-ზადახშ, თმა-გიშურისა,
მას არა ვიცი შევჰკადრო შესხმა ხოტბისა, შერისა,
მისთ მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართ, მი შერისა.“**

შინაარსიდან ჩანს, რომ ამ სტროფით რუსთველი აქებს ორ პირს: თამარ მეფესა და მის ლომს. სიტყვა ლომი აქ მეტაფორულად ნიშნავს ფალავანს, გმირს, რაინდს. რასაკვირველია, თამარის ლომი შეიძლება იყოს მხოლოდ თამარის მეუღლე ეპილოგში იგი უკვე ნახსენებია საკუთარი სახელით.

ცხადია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ დაწერილია თამარისა და დავითის ზეობის დროს_1189-1207 წლებს შუა. (1189 წელს თამარი დაქორწინდა დავით სოსლანზე, ხოლო 1207 წელს დავითი გარდაიცვალა)

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ „ვეფხისტყაოსანი“ რუსთველის ერთადერთი ნაწარმოები არ ყოფილაამის შესახებ მინიმუმებული გახლავთ პროლოგის ტექსტში:

„ჩემი აწ ცანით ყოველმან მას ვაქებ ვინცა მიქია.“

ამ სიტყვებით რუსთველი გვამცნობს, რომ იგი აქებს იმას ვინც წინათაც უქია. მაშასადამე, „ვეფხისტყაოსანი“ არ არის მისი ავტორის შემოქმედებითი საქმიანობის პირველი ნაყოფი.

რუსთველი გვიმხელს თუ ვინ არის მისი შთაგონების წყარო; რა იყო მისი მამოძრავებელი ძალა ამ პოემის შექმნისას; და რას განიცდიდა თავად იგი ამ პიროვნებისადმი. დასასაბუთებლად მოვიყვანთ „ვეფხისტყაოსნის“ ორ სტროფს-მეოთხე სტროფში რუსთველი წერს:

**„თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული,
ვთქვენი ქებანი ვისნი მე არ ავად გამორჩეული. მელნად
ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული,
ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული.“**

ანუ ავტორი ცხადად გვიცხადებს, რომ ნაწარმოები მიძღვნილია თამარ მეფისადმი.

რუსთველის გრძნობები თამარ მეფისადმი კი მჟღავნდება პროლოგის მერვე სტროფში:

**„მე რუსთველი ხელობითა, ვიქმ საქმესა ამა დარი:
ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი;
დავუძღურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი,
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი.“**

თამარ მეფის მეფობის ჟამს ჯარი ემორჩილებოდა თამარ მეფეს და აქედან გამომდინარე, ამ ამალეღვებელ სიტყვებში ავტორი თამარ მეფეს გულისხმობს და მასში გამჟღავნებულია რუსთველის სიყვარული თამარისადმი.

პროლოგის მეცხრე სტროფში რუსთველი საუბრობს თავისი პოემის წყაროზე: „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები, ვით მარგალიტი ობოლი ხელი-ხელ საგოგმანები, ვპოვე და ლექსად გარდავთქვი საქმე ვქმენ საქოჭმანები“ ამ შემთხვევაში რუსთველი იყენებს შუა საუკუნეების მსოფლიო ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებულ სიუჟეტური შენიღბვის ანუ სიუჟეტის ხელოვნურად გაუცხოებისა, თუ გაუცნაურების ხერხს. ამას რუსთველი შეგნებულად და გეგმაშეწონილად აკეთებს. შენიღბვის აუცილებლობა გამოწვეული იყო „ვეფხისტყაოსანში“ ასახული ამბის გამჭვირვალე ისტორიული ასოციაციებით და პოემაში გატარებული სოციალურ-პოლიტიკური და სარწმუნოებრივ-ფილოსოფიურ შეხედულებათა რადიკალიზმით; ამიტომაც რუსთველმა მისი პოემის წყაროდ გამოაცხადა „სპარსული ამბავი“ და მოქმედება გაშალა უზარმაზარ გეოგრაფიულ არეალში (არაბეთში, ინდოეთში, ხატაეთსა და გამონაგონ ქვეყნებში-მულღაზანზარეთში, გულანშაროში, ქაჯეთში...) და შესაფერისადვე უცხოური სახელი შეარქვა ზოგიერთ პერსონაჟს ზოგიერთს მაინც ქართული სახელწოდება შეუნარჩუნა (თინათინი ტარიელი...)

პროლოგშივე რუსთველი ასახელებს და ახასიათებს მოშაირეთა რამდენიმე კატეგორიას. როგორც ირკვევა, მაშინ XII საუკუნეში ქართული პოეზია მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი ყოფილა როგორც შინაარსობრივად, ასევე ჟანრობრივად, თავად რუსთველი უპირატესობას ანიჭებს ეპიკურ ჟანრს („მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“) სამწუხაროდ რუსთველს არ უყვარს ლირიკული პოეზია.

შაირობის თეორიას ენაცვლება მიჯნურობის თეორია. რუსთველი განიხილავს მიჯნურობის სხვადასხვა სახეობას: და დასძენს-ნამდვილი მიჯნურობა პოეზიის საგანი და პოეტური შთაგონების წყაროაო.

რუსთველს სძულს მიჯნურობის ვულგარული ფორმები; რომელიც ემყარება შიშველ ვნებათა-ღელვას, უსულგულო ხორციელ წადილს და მარტო სქესობრივი ჟინით ხასიათდება. ასეთი „სიყვარულის” შესახებ რუსთველი წერს:

**„ხამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი, მრუში, რა
მოჰშორდეს მოყვარესა, გაამრავლოს სულთქმა უში,
გული ერთსა დააჯეროს, კუშტი მიჰხვდეს, თუნდა ქუში
მძულს უგულოდ სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლაშა-მტლუში.”**

პოეტი უმღერის თავისუფალ, მაღალზნეობრივ და ჭეშმარიტ სიყვარულს. რუსთველი სიყვარულს ადამიანის ამამაღლებელ და დამამშვენებელ გრძნობად მიიჩნევს (სიყვარული აგვამაღლებს):

რუსთველმა პროლოგშივე გამოკვეთა იდეალური მიჯნურობის სახე, რომელსაც პოემაში მხატვრულად შეასხა ხორცი:

**„მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს, მართ ვითა მზეობა
სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა,
ენა გონება, დათმობა, მძლეთა მეზრძოლთა მძლეობა.
ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა.”**

[23]

მიჯნურობის ამ თვისებებს გამოხატავენ პოემის გმირები (ტარიელი ავთანდილი თინათინი).

ასე ბუნებრივად და ორგანულად ერწყმის პროლოგი რუსთველის პოეტურ ამბავს.

II თავი

რა არის „ვეფხისტყაოსანი“

„ვეფხისტყაოსანი“ უპირველეს ყოვლისა არის თავისუფალი და მგზნებარე სიყვარულის ჰიმნი. რუსთველი ამბობს: „სიყვარული აღგვამაღლებს, ვით ეჟვანნი ამას ჟღერენ.“[791,3] ეს ამამაღლებელი სიყვარული „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა (ნესტანისა და ტარიელის, თინათინისა და ავთანდილის) ზნეობრივი ცხოვრების მასულდგმულელებელი წყაროა. იგი აზრს აძლევს მათ ცხოვრებას და გმრობისა და სიმამაცის სტიმული ხდება. ნესტან-დარეჯანი მიჯნურობისგან გახელებულ ტარიელს აფრთხილებდა:

**„ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია?
სჯობს საყვარელსა უჩვენე საქმენი საგმირონია.“**

[377,1-2]

რუსთველი თანამიმდევრულად ავითარებს ურთიერთ-სიყვარულზე დაფუძნებულ ძალდაუტანებელ მეუღლეობის იდეას. პოემაში ასახულმა სიყვარულის გარეშე დაქორწინების მცდელობამ დიდი ტრაგედია გამოიწვია. (ტარიელმა უდანაშაულო სასიძო მოკლა: ნესტან-დარეჯანი გადაჰკარგეს).

ფარსადან მეფე და დედოფალი ბრმა და ყრუ უნდა ყოფილიყვნენ, რომ არ დაენახათ და არ გაეგოთ ნესტანისა და ტარიელის მიჯნურობის ამბავი. მათ კი ნესტანის საქმროდ ხვარაზმშაჰის ძის ზედსიძედ მოყვანა გადაწყვიტეს და დასტურისათვის საგანგებო სახელმწიფო თათბირიც მოიწვიეს. ამ თათბირზე ტარიელიც მიიწვიეს. მისი მდგომარეობა აღემატებოდა ყველანაირ ადამიანურ სასჯელს. აღმზრდელისა და პატრონისადმი პატივისცემის გრძნობა მას თავშეკავებას ავალდებულებდა. ფარსადანმა არ დაზოგა, არც შვილობილი და არც ღვიძლი შვილი; ანგარიში არ გაუწია ქალ-ვაჟის სიყვარულს. მას თითქოს მაღალი სახელმწიფოებრივი ინტერესები ამოძრავებდა:

**„აწ ქალისა ჩვენისათვის ქმარი გვინდა სად მოვნახოთ,
რომე მივსცეთ ტახტი ჩვენი, სახედ ჩვენად გამოვსახოთ,
სამეფოსა ვაპატრონოთ, სახელმწიფო შევინახოთ,
არ ამწყდეთ, მტერთა ჩვენთა ხრმალი ჩვენთვის არ ვამახოთ.“**

[509]

ფარსადან მეფე დრომოჭმულ თვალსაზრისზე იდგა, როცა ქალს არ ეკითხებოდა მისი სვე-ბედის საქმე. შუა საუკუნეებში ყველგან, მათ შორის საქართველოშიც, ქალისათვის საქმროს არჩევა მშობლების პრეროგატივას წარმოადგენდა. ფარსადანი ნესტანის გათხოვების საკითხს ხელსაყრელი პოლიტიკური გარიგებისათვის იყენებდა. მისი აზრით ხვარაზმელი სიძის სახით, იგი ძლიერ მოკავშირეს, მფარველს, ტახტის ფაქტობრივ მემკვიდრეს და ქვეყნის მომავალ სუვერენ მეუფეს შეიძენდა. ამ შემთხვევაში რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ნესტანისა და ტარიელის გრძნობებს.

გარდა ამისა, ფარსადან მეფე ნესტანთან და ტარიელთან სხვა ასპექტშიც არ არის მართალი საქმე ისაა, რომ ერთ დროს ფარსადანმა იშვილა ტარიელი, ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა და სამეფოდ დაუწყო აღზრდა. როდესაც ნესტანი წამოიზარდა, მამამ თითქოს მისი გამეფება განიზრახა, ტარიელი კი მშობლებს დაუბრუნა. ამრიგად, ინდოეთის ტახტი კანონით ან ნესტანს ეკუთვნოდა (როგორც მეფის ღვიძლ შვილს), ან ტარიელს (როგორც მეფის ჩამომავალს და სამეფოდ აღზრდილ შვილობილს). ფარსადანმა მეფური სიტყვა გატეხა, ნესტანი ტახტზე არ აიყვანა ტარიელს კი ჩამოართვა მემკვიდრის უფლებები. ინდოეთის ტახტს ახლა გადამთიელი ხვარაზმშაჰის შვილს სთავაზობდა. ამ საარაკოდ უსამართლო და უგულვლო ქცევამ ჩაადენინა საერთოდ მშვიდსა და უწყინარ, მშობლების მოყვარულ ნესტანს ურჩობა.

რუსთველმა დაგმო აღნიშნული თვალსაზრისი ქალის გათხოვების საკითხში და ამხილა ამ თვალსაზრისის მანკიერება. რუსთველი თავისი „ვეფხისტყაოსნით“ ისეთ შეხედულებას იცავს, რაც იმ დროისათვის „გაუგონარ ამბავს“ წარმოადგენდა.

ფარსადანის მსგავს შემთხვევაში სხვაგვარად მოიქცა მეფე როსტევანი. არც მას ჰყავდა მემკვიდრე ვაჟიშვილი, მაგრამ ადრევე ტახტზე აიყვანა და გაამეფა მისი ერთადერთი ასული თინათინი. ვაზირებმა მოიწონეს მეფის არჩევანი და დასძინეს:

**„თუმცა ქალია ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაზადია,
არ გათნევთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კვლა
დია; შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია.
ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია.“**

[39]

არაბეთში გახელმწიფდა ქალი, როდესაც როსტევანმა თინათინისა და ავთანდილის სიყვარულის ამბავი გაიგო გაიხარა და დალოცა ქალ-ვაჟის

დაქორწინება. ოღონდ როსტევეანმა მტკიცედ განსაზღვრა მათი უფლება მოვალეობები:

„მე სიძესა ავთანდილის უკეთესსა ვჰპოვებ ვერა, თვით მეფობა ქალსა ჩემსა მივეც აქვს და მას ეფერა.“

[1526,1-2]

ანუ გათხოვების შემდეგაც თინათინი უნდა ყოფილიყო ტახტის კანონიერი მპყრობელი, ქვეყნის უზენაესი მბრძანებელი; ხოლო მეუღლე მეფე-ქალს ეყოლებოდა საიმედო მრჩეველ-მოამაგედ ერთგვარად თანამეფედ.

არაბეთში და ინდოეთში განვითარებული მოვლენები ერთი შეხედვით, ერთიმეორეს ჰგავს, მაგრამ რუსთველი ამას შეგნებულად სჩადის. განსხვავება ამ ორ ქვეყნებს შორის მეფის გადაწყვეტილებ_

აშია. ორივეგან ერთი და იგივე სიტუაციაა, მაგრამ როსტევეანმა მეფედ გაზარდა თინათინი და გაამეფა. ფარსადანმა კი ეს ვერ გაბედა.

შოთა რუსთველი მხატვრული ენით პრინციპულად იცავს ქალის გამეფების კანონზომიერებისა და გონივრულობის იდეას. ქალის გახელმწიფების შესაძლებლობას შოთა რუსთველმა გამოუმდებნა ბრწყინვალე პოეტური ფორმულა: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია.“ ამ აფორიზმით რუსთველმა დაასაბუთა „ქალ-უფლისწულის მამაკაც-უფლისწულთან თანასწორობის თვალსაზრისი.“

რუსთველური სიყვარულის ისტორია პოემაში ორი სიუჟეტური ხაზითაა გადმოცემული. თავდაპირველად ვხვდებით არაბეთში, სადაც ბრძენმა როსტევეანმა დაუშვა პრეცედენტი და ქალი გაამეფა. ეს არის იდეალური სახელმწიფო მაგრამ გამოჩნდა „უცხო მოყმე,“ რომელსაც თავიდან ღვთის სასჯელად მიიჩნევს როსტევეანი. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ პირიქით, ტარიელის ისტორია და ინდოეთში დატრიალებული ტრაგედია კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მან სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

ქალის მამაკაცთან თანასწორუფლებიანობის დასასაბუთებლად რუსთველი არ დასჯერებია აფორიზმს „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია.“ მან თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად „ვეფხისტყაოსანში“ შექმნა და ერთმანეთს დაუპირისპირა როსტევეანი და ფარსადანი. იგი მთელი გულითა და სულით როსტევეანის მხარესაა, მკითხველს პოეტურად უმტკიცებს როსტევეანის სიბრძნესა და კეთილშობილებას. იგი ასე ახასიათებინებს ავთანდილს თავის მწყალობელ პატრონსა და მომავალ სიძემარს:

**„პატრონი ჩემი გამზრდელი, ღმრთისაგან დიდად ცხოველი,
მშობლური, ტკბილი, მოწყალე, ცა წყალობისა მთოველი.“**

ფარსადანმა, ვერ შეძლო, რომ გამოეჩინა მეფური ჭკუა ტახტის მემკვიდრის შერჩევის საკითხში. მან ვერ გამოავლინა ადამიანური სულგრძელობა და მშობლიური გულკეთილობა. ნესტანს თავისი ზნეობრივი და გონებრივი თვისებებით სავსებით შეეფერებოდა მეფური პატივი; ფარსადანმა კი არა თუ არ გაამეფა მისი ყოვლად ღირსეული ასული, არამედ მის გრძნობებზე ძალდატანებასაც არ მოერიდა. რუსთველი გრანდიოზული პოეტური ხმით ილაშქრებს ქალის გრძნობებზე ძალდატანების წინააღმდეგ. რუსთველი მოითხოვს ქალის საზოგადოებრივად და მორალურად ემანსიპაციას, გარკვეულ პირობებში პოლიტიკურ სარბიელზედაც კი მამაკაცთან უფლებრივად გათანასწორებას.

შოთა რუსთველი ქალს მიიჩნევს სრულყოფილ ადამიანად ამით რუსთველმა დაარღვია მუსლიმანურ აღმოსავლეთში. კერძოდ კი აღმოსავლურ პოეზიაში გაბატონებული შეხედულება ქალის მორალურ-ინტელექტუალური შეზღუდულობის შესახებ. [ამაში დასარწმუნებლად შეგვიძლია ვიხილოთ სპარსული „ვისრამიანი“] რუსთველმა ვეფხისტყაოსანში შექმნა ზნეობრივად და გონებრივად სრულყოფილი ქალი პერსონაჟები. არა მარტო საზოგადოების მაღალი წრიდან, არამედ მან შექმნა დაბალი სოციალური წრიდან გამოსული ასმათის უზომოდ მიმზიდველი, მორალურად სპეტაკი სახე. შოთა რუსთველი „ვეფხისტყაოსნით“ ცხადყოფს, რომ ქალი მამაკაცის მსგავსად სრულყოფილი ადამიანია. ამ დებულებას „ვეფხისტყაოსანში“ უნივერსალური მნიშვნელობა ენიჭება. იმიტომ, რომ შუა საუკუნეებში ასე ამაღლებულად არავის უმღერია ქალის ღირსებაზე.

საქართველოში ქალის პატივისცემის დიდი ტრადიცია არსებობდა ძველი დროიდან მოყოლებული. და ეს არც ქართული მწერლობისთვის იყო უცხო. ჯერ კიდევ V საუკუნეში შექმნა იაკობ ხუცესმა ქალის ზნეობრივი, სულიერი, და გონებრივი სახე. ამას გარდა, საქართველოში სამოქალაქო თუ პოლიტიკური სარბიელიდან ქალები მოკვეთილნი არ იყვნენ. გავიხსენოთ თუნდაც თამარ მეფის თანამედროვე მანდილოსნების ხვაშაქი ცოქალისა და კრავაი ჯაყელის მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი როლი.

ქალის პატივისცემის ამ ეროვნულ ტრადიციასაც ემყარება შოთა რუსთველი. გარდა ამისა, არაბეთის სამეფო ჩვენი ისტორიის „ოქროს ხანას“ მოგვაგონებს თინათინისა და ავთანდილის ისტორია ისტორიულ პარალელს თამარ მეფესა და მისი თანამეფის დავით სოსლანიში პოულობს.

ნესტან-დარეჯანის ძალდატანებითი გათხოვების და ხვარაზმელი უფლისწულის მეფედ დასმის მცდელობა კი გიორგი რუსის ეპიზოდს უკავშირდება. ასე გამოეპასუხა რუსთველი ქალის გამეფების პრეცედენტს და ბოლომდე დაიცვა ეს პოზიცია.

III თავი

ძმობა-მეგობრობის მნიშვნელობა „ვეფხისტყაოსანში“

ძმობა-მეგობრობის საკითხს, „ვეფხისტყაოსანში“ საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, ამიტომ საინტერესოა თუ რას წერენ ამ საკითხის შესახებ ჩვენი მეცნიერები. „ვეფხისტყაოსანში“ ასახული ძმობა-მეგობრობა უნიკალურია. და მასში ვლინდება ეპოქის მაჯისცემა. „ვეფხისტყაოსნის“ მეგობრობას აქვს თავისი სპეციფიკური სახე, რომელიც განანსხვავებს მას მეგობრობის სხვა გამოვლინებისაგან და რომელშიც მჟღავნდება მისი შემქმნელი ხალხის სული, ეპოქის მაჯისცემა, ავტორის ინტელექტი და მისწრაფება.”[იხ. ელგუჯა ხინთიბიძე „ვეფხისტყაოსნის სიყვარული“ თბ, 2005, გვ, 6,]

ბატონი გიორგი ნადირაძე აღნიშნული საკითხის შესახებ წერს: „რუსთველისეული სიყვარული უფაქიზესი მეგობრობის სახეობაა. რუსთველისათვის უმეგობრო სიყვარული ისეთივე ნონსენსია, როგორც უგუნური სიბრძნე.”[იხ. გიორგი ნადირაძე „რუსთველის ესთეტიკა“ თბ, 1958, გვ, 216,]

პროფესორი ალექსანდრე ბარამიძე „ვეფხისტყაოსანში“ ასახული ძმობა-მეგობრობის შესახებ წერს: „ტარიელის ავთანდილისა და ფრიდონის ძმურ-მეგობრული უზომო სიყვარულის გრძნობა აბრწყინვალეებს „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულას და „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ სინამდვილეს.”[იხ. ალექსანდრე ბარამიძე „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან ტ. I“ თბ, 1945, გვ, 170]

„ვეფხისტყაოსნით“ ასახული სიყვარულის გამარჯვება ვერ შედგებოდა მეგობრული თანაგრძნობისა და ძმური თავგამოდების გარეშე. ძმურ-მეგობრული თავგამოდების კაცთმოყვარული იდეის გამომხატველია რუსთველის უბრწყინვალესი აფორიზმი:

**„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის სიყვარული გზად და ხიდად“**

[703,1-2]

რუსთველის მოძღვრების თანახმად ადამიანი მუდამ უნდა ეძებდეს მოყვარეს იგი ბრძანებს:

„ვინ მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერია.“

ძმობა-მეგობრობის, ძმადნაფიცობის გამყარებას ხელსუწყობს გაჭირვების ვითარებაში შედუღაბებული თანამეგობრობა.

„ოდეს კაცსა დაეჭიროს, მაშინ უნდა ძმა და თვისი“

[854,1-2]

ასეთი გახლდათ ტარიელისა და ავთანდილის ძმობა-მეგობრობა. ასეთივე იყო ძმობა-მეგობრობა ტარიელის და ფრიდონისა. „ვეფხისტყაოსნით“, გამოხატული ძმობა-მეგობრობა უპირველეს ყოვლისა სიყვარულის გამარჯვების საქმეს ემსახურება.

საერთოდ რუსთველის აზრით, ძმურ-მეგობრული სიყვარული თავისი სიძლიერით არ არის ნაკლები ქალ-ვაჟურ სიყვარულზე. და გარკვეულ მომენტში პირველ მათგანს მეორის გადაფარვაც ძალუმს; მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ თითქოს რუსთველი უპირატესობას პირველ მათგანს ანიჭებდეს. ავთანდილი ტარიელს ეუბნება:

**„ამა დღემან დამავიწყა, გული ჩემი ვინ დაბინდა;
დამიგდია სამსახური, იგი იქმნას რაცა გინდა;
იაგუნდი ეგრეცა სჯობს, ათასჯერმცა მინა მინდა;
და შენ გახლო სიკვდილამდის, ამის მეტი არა მინდა!“**

[298]

ავთანდილის იგავმიუწვდომელი, ძმური თავგამოდება ტარიელისათვის იმანაც შეაპირობა, რომ ავთანდილიც იწვოდა სიყვარულის ცეცხლით. ტარიელთან პირველი შეხვედრის დროს პირველ კითხვაზე [284,3], ავთანდილი გამოუტყდა მაშინ მისთვის უცხო მოყმეს:

**„მე ვარ არაბი, არაბეთს არს ჩემი დარბაზებია,
მიჯნურობითა დავმწვარვარ ცეცხლი უშრეტი მგზნებია.“**

[299, 3-4]

სწორედ ამის გამო ჰპოვა ავთანდილმა ტარიელისაგან, როგორც ძმური თანაგრძნობა, ასევე მისი ვაჟკაცობის აღიარება.

„მაგრა წესია, მიჯნური მიჯნურსა შეებრალეზის,”

[299,3]

და ასევე:

**„წამოსულხარ ჩემად ძებნად პატრონისა სამსახურად;
ღმერთმა ქმნა და გიპოვნევარ, შენცა ცდილხარ მამაცურად,”**

[300,3]

სიყვარულისა და ძმადნაფიცობის გრძნობით შეკავშირებულ რაინდებს არასოდეს არ ავიწყდებათ მოვალეობა სამშობლოს წინაშე რუსთველი ერთმანეთისაგან არ თიშავს პირადულსა და საზოგადოებრივს, მათ ათანხმებს და ჰარმონიულად უხამებს. საჭირო დროს კი საზოგადოებრივს უქვემდებარებს პირადულს.

„ვეფხისტყაოსანი” დიადი ნაწარმოები იმიტომაც არის, რომ მასში ასახული ძმობა-მეგობრობა, ამ გრძნობის მატარებელ პერსონაჟთა ინდივიდუალური ურთიერთობის ფარგლებით არ იზღუდება. ნაწარმოების პერსონაჟთა ძმობა-მეგობრობა ბუნებრივად გადაიზარდა ხალხთა მეგობრობაში.

ძმადნაფიცობის ნიადაგზე შეკავშირებულმა სახელოვანმა გმირებმა დაძლიეს ყოველგვარი დაბრკოლება; შემუსრეს ბოროტი ძალები; აღადგინეს სამართლიანობა; ნესტანს დაუბრუნეს თავისუფლება; დამპყრობელთაგან გაანთავისუფლეს ინდოეთი; ფრიდონს დაუმკვიდრეს მისი მამული. „ვეფხისტყაოსნის” ძმადნაფიცები ერთსულოვნად მოქმედებდნენ, არა მარტო განსაცდელისა და ომების დროს, არამედ საბოლოო გამარჯვების შემდეგაც არ შეუსუსტებიათ ძველი კავშირი. ძმადნაფიცები კეთილმეზობლურად განაგრძობდნენ საერთო სახელმწიფოებრივი ცხოვრების ჭაპნის ზიდვას. ასეთ ვითარებაში მათ ახალ-ახალი წარმატებები მოიპოვეს გაძლიერდნენ, თავი დაიხსნეს საგარეო ხიფათისაგან და საშინაო წესრიგი დაამყარეს:

**„მათ სამთავე ხელმწიფეთა ერთმანეთი არა სძულდეს,
ერთმანეთსა ჰნახვიდიან, საწადელი გაუსრულდეს,
ბრძანებისა შემცილენი მათთა ხრმალთა დავერწყლულდეს,
მოიმატეს სამეფონი, გახელმწიფდეს, გამორჭმულდეს.”**

[1663]

თანამედროვეობა აღტაცებაში მოჰყავს ძმობა-მეგობრობის იმ შთამბეჭდავ სურათებს, რაც ასე ნათლად დაგვიხატა შოთა რუსთველმა XII საუკუნეში. შოთა რუსთველის პოეზია პირდაპირ ეხმაურება თანამედროვეობას, ამიტომაც ასე მახლობელი და გასაგებია ეს პოეზია ქართველი ხალხისათვის.

შოთა რუსთველი „ვეფხისტყაოსნით“ ავითარებს ცენტრალიზებული სახელმწიფოებრიობისა და ერთმეფობის პრინციპებს. ინდოეთის მაგალითზე რუსთველი ამ პრინციპების უპირატესობას ადრე ინდოეთი დაყოფილი იყო შვიდ სამეფოდ: ექვს სამეფოს ფლობდა ფარსადანი, მეშვიდე კი ეკუთვნოდა ტარიელის მამას სარიდანს. ტარიელი მოგვითხრობს:

**„მამაჩემი ჯდა მეშვიდედ, მეფე მებრძოლთა მზარავი,
სარიდან ერქვა სახელად, მტერთა სრვად დაუფარავი.“**

[312,1-2]

მეფე სარიდანმა ნებაყოფლობით უარი თქვა დამოუკიდებლობაზე და იგი შეეკედლა მეფე ფარსადანს, ინდოეთის დიდი ნაწილის მფლობელს. ფარსადანმა სიხარულით მიიღო სარიდანი, მფარველობა და პატრონობა გაუწია, საუკეთესო მამული [„საკარგავი“] უბოძა სარჩოდ და საპატიო თანამდებობაზე დანიშნა, ვაზირად [„ამირბარად“] გაამწესა. სარიდანის საზრიანი ნაბიჯის შედეგად ინდოეთი მთლიანად გაერთიანდა, გაფართოვდა, გაძლიერდა. ინდოეთის მიწა-წყალზე განმტკიცდა ერთმეფობა, შეიქმნა ინდოეთის ერთიანი ცენტრალიზებული, სუვერენული სახელმწიფო. რუსთველი შესტრფის გაერთიანებულ, ძლევამოსილ სამშობლო ქვეყანას. „ვეფხისტყაოსანს“ თავიდან ბოლომდე გასდევს პატრიოტული სულისკვეთება. სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავდადება რუსთველის იდეალიზებული გმირების წმინდათაწმინდა მოვალეობას შეადგენდა. გავიხსენოთ ნესტანის წერილის სიტყვები, რომელიც ქაჯეთიდან მოიწერა:

**„წადი, ინდოეთს მიჰმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა,
მტერთაგან შეიწრებულსა, ყოვლგნით ხელ-აღუპყრობელსა,“**

[1307,1-2]

საინტერესოა „ვეფხისტყაოსნის“ ფინალიც. პოემის სწორუპოვარმა რაინდებმა თავიანთი ქვეყნები იხსნეს საგარეო ხიფათისაგან. ავთანდილის

ფრიდონისა და ტარიელის ქვეყნებში თითქოს აღმოიფხვრა ძალადობა და უსამართლობა. და დამყარდა სოციალური თანასწორობა:

„ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს,
ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს,
ავთა მქმნელნი დააშინეს, კრავნი ცხვართა ვერ უწოვდეს,
შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს.“

[1664]

რა თქმა უნდა, სურათი უაღრესად ზღაპრულია. ოღონდ სურათის ეს ზღაპრულობაც იმის დამადასტურებელია, რომ დიდ პოეტს არ აკმაყოფილებდა მისდროინდელი საზოგადოებრივი წყობილება და უკეთეს მერმისზე ოცნებობდა. რუსთველის ამ საოცნებო სურათის დახატვით ნათლად აღიბეჭდა ჰუმანისტი პოეტის ნაფიქრ-ნააზრევის ჭეშმარიტად საოცარი სიღრმე და სიბრძნე.

IV თავი

რუსთველი და რელიგია

რუსთველი უეჭველად გვიმჟღავნებს მის დამოკიდებულებას რელიგიის მიმართ. „ვეფხისტყაოსანში რელიგიას სრულიად უმნიშვნელო ადგილი უკავია და უმრავლეს შემთხვევაში, როდესაც შოთა რუსთველი ეხება რელიგიის მსახურთ, დაცინვითა და ირონიითაც კი მოიხსენიებს მათ.“[იხ. „შოთა რუსთველს საიუბილეო კრებული“ თბ. 1966. ვახტანგ აბაშაძის ნაშრომი „შოთა რუსთველის მსოფლმხედველობის საკითხები“ გვ. 88] მიუხედავად დიდი პატივისცემისა აღნიშნული ავტორის მიმართ ჩვენ ამ მოსაზრებას კატეგორიულად ვერ დავეთანხმებით. რუსთველი არა თუ არ არის განწყობილი უარყოფითად რელიგიის მიმართ არამედ დიდ პატივისცემასაც კი ამჟღავნებს რელიგიის მიმართ. და ეს იმდენად ბევრგან დასტურდება „ვეფხისტყაოსანში,“ რომ ყველა შემთხვევის განხილვა ყოვლად შეუძლებელია განვიხილავთ მხოლოდ, რამოდენიმე მაგალითს რუსთველი „ვეფხისტყაოსნის“ პირველსავე სტროფში ბრძანებს:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერთა,

**ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მისმიერთა.”**

„რომელმან” აქ ჩვენებითი ნაცვალსახელია, რომელიც პირდაპირ აღნიშნავს ღმერთს_მან შექმნა სამყარო.

„სამყარო” ამ კონტექსტში არ ნიშნავს ჩვეულებრივ ქვეყანას ეს სფერო („სმყარო”) შუალედური ადგილია ღმერთსა და ადამიანის ჟამიერ ადგილსამყოფელს შორის. ღვთაების მიერ ამ ქვეყნის შექმნა გააზრებულია როგორც დასაბამიერი ერთისაგან სიმრავლის წარმოშობა. რასაც ადასტურებს სიტყვები: „ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,” ასევე ამ სიტყვებში იგულისხმება ისიც, რომ ამ სიმრავლეში დედამიწაა ქვეყანა, რომელშიც ღვთის განგებით ადამიანი უფლობს.

რაც შეეხება ბოლო სტროფს აქ გატარებულია იდეა ამქვეყნიური ხელმწიფობის ღვთითკურთხეულობის შესახებ, რაც ძალზედ ცნობილი თეორემაა მეცნიერთათვის.

მეორე სტროფში შოთა რუსთველი ღმერთს შესთხოვს ძალასა და თანადგომას რათა მან შეძლოს გასრულება გრანდიოზული შემოქმედებითი ამოცანისა, რაც მას მომავალში მოუწევს:

**„ჰე ღმერთო, ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა,
შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა,
მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდიმდე გასატანისა,
ცოდვათა შემსუბუქება, მუნ თანა წასატანისა.”**

ამ სტროფში ჩვენ ვეცნობით ერთ მსოფლმხედველობრივ კანონზომიერებას. მისი შინაგანი ლოგიკა ასეთია:

ადამიანი ერთადერთია, რომელიც ღმერთმა საკუთარი თავის „ხატად და მსგავსად” შექმნა. (პარალელის გავლება ამ შემთხვევაში ბიბლიასთან იოლია) სხვა არცერთ არსებას ასეთი პატივი არ ღირსებია. ამიტომ, რელიგიური წარმოდგენით, ადამიანის ყველაზე დიდი მოწოდება არის ის, რომ მუდმივად ესწრაფვოდეს ღვთაების მსგავსებას. ამ საკითხთან დაკავშირებით მე თქვენს მონა-მორჩილს მახსენდება ერთი სახარებისეული მოწოდება: „იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამაი თქუენი ზეცითაი სრულ არს.” (მათე, 5, 48).

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ შოთა რუსთველს სწამდა ადამიანის სულის უკვდავების და მისი იმქვეყნიური საუკუნო ცხოვრება, რაც აისახა კიდევ ნათლად „ვეფხისტყაოსნის” ამ სტროფში:

„მეფეო, ესე თათბირი, მომკალ, ვინ დამიწუნოსა!

მეფეო, ნუთუ წასვლამან თქვენ ჩემმან დაგაჭმუნოსა?!
ვერ ვეცრუები, ვერ ვუზამ საქმესა საძაბუნოსა,
და პირის-პირ მარცხვენს, ორნივე მივალთ მას საუკუნოსა.”

[797]

ავთანდილის ანდერძის ეს სიტყვებიც ნათლად ადასტურებს თუ რა წარმოდგენის გახლდათ შოთა რუსთველი რელიგიის მიმართ. მისი აზრით ადამიანის სული უკვდავია და იგი საუკუნო ცხოვრებას განარძობს იმ ქვეყნად სადაც ადამიანის მიერ ჩადენილი ყოველი კარგი თუ ცუდი საქმე ღვთის, მიერ იქნება განსჯილი და ამიტომ საჭიროა ამ საკითხზეც იფიქროს გონიერმა ადამიანმა. ამაზე ფიქრობს ავთანდილიც, რომელიც ღვთის მოშიში ადამიანია. სწორედ რუსთველის ეს მოსაზრება უდევს საფუძვლად მისსავე ბრწყინვალე აფორიზმს. რუსთველი იმის გამო, რომ მისი აზრით ადამიანის სული უკვდავია ბრძნული სიმშვიდით უყურებს ადამიანის ფიზიკურ სიკვდილს. იგი წერს:

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;
მისგან გასწორდეს ყოველი, სუსტი და ძალ-გულოვანი;
ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი.
და სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!”

[800]

ჩვენ ნაშრომის მეორე თავში მკითხველთან გვეკონდა საუბარი ორი საკითხის, შესახებ პირველი: ეს არის რუსთველური სიყვარული და მეორე: ქალის ემანსიპაციის საკითხზე მამაკაცთან, მაგრამ ჩვენ იქ არ გვეკონია საუბარი სამი მეტად მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ ეს საკითხებია: 1) ვინ მიიჩნია რუსთველს სიყვარულის გამჩენად? 2) რის საფუძვლებს ემყარება რუსთველური სიყვარული? და 3) რაზე დაყრდნობით უნდა მოხდეს ქალის ემანსიპაცია მამაკაცთან?

შოთა რუსთველი სიყვარულის შემქმნელ ძალად უფალს მიიჩნევს იგი ბრძანებს:

„ღმერთო, ღმერთო, გეაჯები, რომელი ჰფლობ ქვეყნათ ზესა,
შენ დაჰბადე მიჯნურობა, შენ აწესებ მისსა წესსა,”

[810,1-2]

რუსთველური სიყვარული დაფუძნებული გახლავთ ქრისტიანული რელიგიის პრინციპზე, რაც თვალნათლივ დასტურდება „ვეფხისტყაოსნის“ ორ ეპიზოდში:

„ხამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი, მრუში,
რა მოჰშორდეს მოყვარესა, გაამრავლოს სულთქმა, უში,
გული ერთსა დააჯეროს, კუმტი მიჰხვდეს, თუნდა ქუში;
მძულს უგულოდ სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლაშამტლუში“

[25]

ამ შემთხვევაში შოთა რუსთველი ერთგულად იცავს ათი მცნების მეშვიდე მცნებას „არა იმრუშო.“

ასევე რუსთველი „ვეფხისტყაოსანში“ წერს შემდეგ სიტყვებს:

„წაგიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ?
ვით იტყვიან, ვით აქებენ? ცან, ცნობანი მიაფერენ.
„სიყვარული აღგვამაღლებს,“ ვით ეჟვანნი, ამას ჟღერენ,“

[791,1-2-3]

როგორც ვხედავთ რუსთველი უპირატესობას ანიჭებს ქრისტიანულ პრინციპზე დამყარებულ სიყვარულს.

ყოველივე ზემოთქმულის შეჯამების საფუძველზე ჩვენ გამოგვაქვს შემდეგი დასკვნა: შოთა რუსთველის აზრით ქალის მამაკაცთან ემანსიპაციის განხორციელების გზაზე მთავარი საყრდენი ქრისტიანულ პრინციპზე დამყარებული სიყვარულია.

და რა უნდა ითქვას საბოლოოდ ამ საკითხის, შესახებ მიუხედავად იმისა, რომ რუსთველი დიდ პატივს სცემს რელიგიას ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი უპირატესობას ანიჭებს იმქვეყნიურ ცხოვრებას და არა ამქვეყნიურს. იმის დამადასტურებელი მაგალითები, რომ რუსთველი ამქვეყნიურ ცხოვრებას ანიჭებს უპირატესობას ისევე მრავლადაა „ვეფხისტყაოსანში,“ როგორც მისი რელიგიისადმი პატივისცემა მჟღავნდება მრავალგან, მაგრამ ამ ჯერად ჩვენ არ შევუდგებით აღნიშნული მაგალითების მოყვანასა და განხილვას, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ ეს მეტისმეტად დამღლეელი იქნება მკითხველთათვის.

V თავი

ბრძოლა „ვეფხისტყაოსნის“ წინააღმდეგ

სწორედ იმის გამო, რომ შოთა რუსთველმა უპირატესობა მიანიჭა ამქვეყნიურ ცხოვრებას და არა იმქვეყნიურს ეს იწვევდა საეკლესიო საზოგადოების განრისხებას. ეტყობა რუსთველისა და მისი პოემის დევნა განაპირობა იმ ისტორიულმა ვითარებამ, რომლის იდეოლოგიად გვევლინება XIV საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ჟამთააღმწერელი. ხვარაზმელებისა და მონღოლების შემოსევის შედეგად საქართველოს თავზე დატეხილი უბედურება ამ ისტორიკოსმა მიაწერა ღვთაებრივ რისხვას, რაც თითქოს ქართველი საზოგადოების ზნეობრივმა დაცემამ და სარწმუნოებრივი გრძნობის შესუსტებამ გამოიწვია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჟამთააღმწერლის კონცეფციით ღვთაებრივი რისხვა გამოუწვევია ქართველი საზოგადოების ამქვეყნიურობით გატაცებასა და იმქვეყნიურობის დავიწყებას. ცხადზე ცხადია, ასეთი კონცეფციით საეკლესიო საზოგადოებისათვის ოდიოზურად გამოჩნდებოდა ამქვეყნიური ცხოვრების დიდი მომღერალი პოეტი შოთა რუსთველი.

„ვეფხისტყაოსნის“ დევნის თაობაზე მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ამ პოემის პირველი მეცნიერი გამომცემელი და კომენტატორი ვახტანგ VI (1675-1737). ვახტანგის მოწმობით, საეკლესიო წრეები „ვეფხისტყაოსანს“ მიიჩნევდნენ უზნეობის მქადაგებელ თხზულებად. სწავლული მეფე შეეცადა დაეცვა „ვეფხისტყაოსანი“ მათგან, ამისათვის მან „ვეფხისტყაოსანი“ განმარტა ალეგორიულ-მისტიკური თვალსაზრისით, გამოაცხადა იგი ღვთაებრივი სიყვარულის გამომხატველ ნაწარმოებად. რაც, როგორც უკვე დავინახეთ სრული სიმართლეა, მაგრამ ამას არ იჯერებდნენ საეკლესიო წრეები. ვახტანგ VI-ის ცდა დაეცვა პოემა საეკლესიო წრეებისაგან და გაეჩუმებინა ისინი, ამაო ცდა აღმოჩნდა მდგომარეობა უფრო დაიძაბა საქართველოს მარლთმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენელმა არქიეპისკოპოსმა ტიმოთე გაბაშვილმა. არად ჩააგდო ვახტანგ VI-ის „ვეფხისტყაოსნის განმარტებები“ უდიერად დაგმო მისი განმარტებანი, ხოლო რუსთველიცა და ვახტანგ VI-ეც ასე მოიხსენია: „მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართველთა სიწმინდისა წილ ბილწება და განჰრყვნა ქრისტიანობა. ხოლო უწინარეს ჩვენსა (მხედველობაშია ვახტანგ VI ლ.ი.) უმეცართა საღმრთოდ თარგმნეს ბოროტი ლექსი მისი.“[იხ. ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსვლა, თხზ. თბ. 1956, გვ. 80]

როგორც ვხედავთ, ვნებათაღელვა იმდენად დიდი იყო, რომ თვით ქართველი მეფეც კი „უმეცრად“ არის მოხსენიებული.

უფრო მოგვიანებით საქართველოს კათალიკოსი ანტონ I (1719-1788) ამბობდა:

„შოთა ბრძენ იყო სიბრძნისმოყვარე ფრიად,
ფილოსოფოსი, მეტყველი სპარსთა ენის.
თუ სამ ჰსწადოდა, ღვთისმეტყველიცა მაღალ:
უცხო საკვირველ პიიტიკოს მესტიხე.
მაგრამ ამაოდ დაშვრა საწუხარს ესე.“

[იხ. „წყობილსიტყვაობა“ პლატონ იოსელიანის გამ. თბ. 1853, სტროფი 802]

რუსთველი ამაოდ დაშვრა... უცნაური და მძიმე მოსასმენია, მაგრამ აქ ჩვენის აზრით ეს გამოიწვია შემდეგმა: საეკლესიო წრეებს რუსთველური სიყვარული ზედმეტად მიწიერად მიაჩნდათ. როგორც ჩანს, ისინი სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ რუსთველის ნათქვამს დაფუძნებულს სწორედ ქრისტიანულ ტრადიციაზე; ამქვეყნიური მიჯნურობაც ღვთაებრივიაო („შენ დაჰბადე მიჯნურობა, შენ აწესებ მისსა წესსა“) სიყვარული განუყოფელია არსით ერთია და მისი ისეთი გამოვლინება, რაც ზეცის ბაძვის გამომხატველია, არ შეიძლება ღვთის უარყოფელი იყოს, ზეცის მბაძავი ხორციელი სიყვარული კი არ უპირისპირდება ღვთაებრივს არამედ პირიქით.

უარყოფითი შეფასების შემდგომ ანტონ კათალიკოსმა ხელი მიჰყო „ვეფხისტყაოსნის“ ფიზიკურად განადგურების საქმეს. „ანტონ კათალიკოსმა (1719-1788) „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ნაბეჭდი გამოცემის ნაწილი ცეცხლს მისცა, ნაწილი კი მტკვარში გადააყრევინა.“[იხ. „შოთა რუსთველს საიუბილეო კრებული“ თბ. 1966. ვახტანგ აბაშმაძის ნაშრომი „შოთა რუსთველის მსოფლმხედველობის საკითხები“ გვ. 90]. შესაძლებელია ანტონ I არ იყო „ვეფხისტყაოსნის“ უშუალოდ ხელისმყოფელი [როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს], მაგრამ მისი მორალური პასუხისმგებლობა რუსთველის პოემის დევნისათვის უცილობელია. ანტონ I იყო საეკლესიო საზოგადოების იდეური ხელმძღვანელი, რომელმაც უარყოფითად შეაფასა რუსთველის ღვაწლი ქართული პოეზიის ისტორიაში [„ამაოდ დაშვრა საწუხარს არს ესე“-ო].

საეკლესიო წრეების მხრივ რუსთველის მიმართ გაბოროტებას ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ XVII-XVIII საუკუნეების ქართველი

მკითხველი საზოგადოება დიდ გულგრილობას იჩენდა თურმე საეკლესიო-სასულიერო შინაარსის მქონე წიგნებისადმი, სამაგიეროდ გატაცებული ყოფილა საშაირო ლიტერატურით, ე.ი. უპირველეს ყოვლისა „ვეფხისტყაოსნით“ „თეიმურაზ პირველის სიტყვით: არვის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთა.“ სხვაგან იგივე თეიმურაზი აცხადებს: „თუ საღმრთო რამე მესიბრძნა, შიგ არვინ ჩაიხედავდა“-ო თეიმურაზის მიერ შენიშნულ მოვლენას არჩილიც ადასტურებს:

**„საღმრთო წიგნი ბევრი წახდა უყდოთა და უბუდობით
საშაიროს ინახავდნენ სტავრის ბუდით ან ხახლობით.“**

[იხ. ალექსანდრე ბარამიძე „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან ტ, III“ თბ. 1952, გვ.15].

მთავარი მაინც ისაა, რომ საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა ბრძოლა რუსთველისა და მისი პოემის გარშემო.

VI თავი

რაში მდგომარეობს „ვეფხისტყაოსნის“ მიმზიდველობის საიდუმლო ანუ რატომ არის იგი სასიამოვნო წასაკითხი

მართლაცდა რატომ გახლავთ „ვეფხისტყაოსანი“ სასიამოვნო წასაკითხი. მიუხედავად იმისა, რომ იგი თავისი მასშტაბებით დიდი ნაწარმოებია იგი მკითხველს არ ღლის და არ ხდება მომაბეზრებელი. რაში არის დაფარული ის საიდუმლო, რომელიც ასეთ მომხიბვლელობას ანიჭებს „ვეფხისტყაოსანს“? სწორედ ამ საკითხზე იქნება გამახვილებული ყურადღება ამ დროისათვის.

რუსთველი ამბავს ანვითარებს სწრაფი ტემპით მოთხრობის მთავარი ხაზიდან გადაუხვევლად. შუა საუკუნეების ავტორებს სჩვევიათ, რომ ძირითად ამბავს ხერგავენ ეპიზოდური ამბებით. რუსთველი კი ასე არ იქცევა. მას შემუშავებული აქვს თხრობის განვითარების საკუთარი სისტემა. რუსთველი ამბავს არ ტვირთავს მეორეხარისხოვანი სიტუაციებით, არ ჩერდება წვრილმანებზე, რითაც არ ნელდება მოქმედების ტემპი და არ ნელდება მკითხველის ყურადღება.

ამრიგად, რუსთველი სიუჟეტურ ამბავს ავითარებს მოკლედ დინამიურად დახვეწილად. პოეტი ზოგავს დროსა და მასალას. რუსთველი

ზოგჯერ თავისი პერსონაჟების პირით აღნიშნავს [როდესაც პერსონაჟები გამოდიან ამბის მთხრობელის როლში]: „რადღა ვაგრძელებ სიტყვასა, ჟამია შემოკლებისა“[788,1] აგრეთვე [1521,4] ზოგჯერ კი უშუალოდ თვითონ აცხადებს: „რას ვაგრძელებდე? გარდახდეს დღენი ერთისა თვისანი.“[1560,1] რუსთველისა და მისი პერსონაჟების აზრით „გრძელი სიტყვა საწყინოა, ასრე მოკლედ მოგახსენეო.“[237,3] რუსთველი მოსაწყენად მიიჩნევს გაუთავებელ, მომაბეზრებელ გაგრძელებულ თხრობას და არა თავისთავად გრძელ ამბავს [დიდ თემას], როგორც ეს უკვე ვიცით პოემის პროლოგიდან. „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი.“[12,4] რუსთველი არის პრინციპული დამცველი მოკლე და მოქნილი თხრობისა.

თავისი სიუჟეტით „ვეფხისტყაოსანი“ დღემდე არის ძლიერ მიმზიდველი საკითხავი წიგნი. იგი თავიდან ბოლომდე შეუნელებელ ინტერესს იწვევს ამბის მიმდინარეობით. უცხო მოყმის სცენაზე გამოყვანით და მისი საქციელით. იქმნება მეტად დამაბული სიტუაცია. ამ მომენტიდან რუსთველს მთლიანად აქვს დაპყრობილი მკითხველის ყურადღება. მკითხველს ეჩქარება მოყმის ამბის ამოცნობა ტარიელის ამბის ამოცნობის მომენტიდან მკითხველის ყურადღება გადაინაცვლებს ნესტანის ამბის ამოცნობაზე. ასევე დიდ ინტერესს იწვევს ავთანდილის მგზავრობა ტარიელის საძებნელად. თვითონ ტარიელის ტრაგიკული თავგადასავალი სავსეა დრამატული ელემენტებით.

რუსთველი დიდოსტატურად თანამიმდევრულად და ლოგიკურად კრავს და ხსნის სიუჟეტურ ხლართებს, ეტაპობრივად ართულებს და ამძაფრებს სიტუაციებს, უფრო და უფრო ძაბავს მკითხველის ყურადღებას, მკითხველს ინტერესს უღვიძებს შემდგომი ამბებისადმი. რუსთველს არ მოეპოვება ამბის განვითარებისა და მოქმედების შემაბრკოლებელი არც ერთი სტრიქონი.

რა თქმა უნდა, „ვეფხისტყაოსანზე“ დაუსრულებლად შეიძლება საუბარი, მაგრამ მეც ისევ რუსთველის რჩევას დაუგდებ ყურს: „რადღა ვაგრძელებ სიტყვასა, ჟამია შემოკლებისა“ და მკითხველს თავს არ შევაწყენ.

დამოწმებული წყარო და ლიტერატურა

ლიტერატურა:

1. შოთა რუსთველი. ვეფხისტყაოსანი. თბ., 1992.
2. ელგუჯა ხინთიბიძე. ვეფხისტყაოსნის სიყვარული. თბ., 2005.

3. გიორგი ნადირაძე. რუსთველის ესთეტიკა. თბ., 1958.
4. ალექსანდრე ბარამიძე. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. I. თბ., 1945.
5. ალექსანდრე ბარამიძე. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. III. თბ., 1952.
6. შოთა რუსთველს. საიუბილეო კრებული. თბ., 1966.
7. ტიმოთე გაბაშვილი. მიმოსვლა. თხზ. თბ., 1956.
8. წყობილსიტყვაობა. პლატონ იოსელიანის გამ. თბ., 1853.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი;

I თავი. „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგისა და ეპილოგის განხილვა;

II თავი. რა არის „ვეფხისტყაოსანი“;

III თავი. ძმობა-მეგობრობის მნიშვნელობა „ვეფხისტყაოსანში“;

IV თავი. რუსთველი და რელიგია;

V თავი. ბრძოლა „ვეფხისტყაოსნის“ წინააღმდეგ;

VI თავი. რაში მდგომარეობს „ვეფხისტყაოსნის“ მიმზიდველობის

საიდუმლო ანუ რატომ არის იგი სასიამოვნო წასაკითხი;

დამოწმებული წყარო და ლიტერატურა;